# ლამპარი

თფილისი

ხუთშაბათი, 22 (6) ივნისი.

1906

წლიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

№ 48

ყოველ-დღიური გაზეთი.

№ 48


დღეს მინგრელსკი პოლკის ოცდა შვიდ სალდათს ასამართლებენ.—მათ მხარის დასაჭერათ თფილისის ორგანიზაცია რ. ს. დ. მ. პ. საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას აცხადებს.—კადეტების ფრაქციის მიერ შემუშავებული პროეკტი მეჭდის თავისუფლებისა.—ხელახლა შემოიღეს სამხედრო წესები ოდესის მაზრაში და ხერსონის გუბერნიაში.—სამიმუშაო დეპუტატების საბჭოს წევრთა გასამართლება დაიწყო.—სამინისტროს შემუშავებია პროექტი გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა.—ჯარს ამბოხება უფრო და უფრო ედება.

## რედაქციისაგან:

**აგენტების საყურადღებოთ.** რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს ანგარიშის გასწორება დააჩქარონ.

**ხელის მომწერთა საყურადღებოთ.** რედაქცია აცნობებს ქალაქ გარეთელ ხელის მომწერლებს, რომ ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** „კოლხიდა“-ს კანტორაში ი. კვიცარიძესთან; **ბათუმში** მიხ. კალანდაძესთან და **ოზურგეთში** მისე ტულუშთან.

ქ. თფილისში ხელის-მოწერა **მხოლოდ რედაქციაში** მიიღება. **რედაქცია პასუხს აგებს იმ ხელის მომწერთა წინაშე, რომლებიც პირდაპირ რედაქციის კანტორაში მოიტანენ ფულს.**

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან. რედაქცია სთხოვს თვიურ ხელის მომწერლებს მომავალი თვის ფული ივნისის დამლევამდის წარმოადგინონ.

დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში არ ინახება.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ“.

კვირას, 25 ივნისს, დილის 9 საათზე დანიშნულია წლის თავი ამხანაგ

**საშა წულუკიძის**

გარდაცვალებისა, რასაც ხონის ორგ. რ. ს.-დ. მ. პ. აუწყებს ამხანაგებს.

ამხანაგებს და ნაცნობებს აუწყებენ ამხანაგები გარდაცვალებას

**სტეპკო ბორაიანისას**

ცხედარს დაასაფლავებენ ხუთშაბათს, 22 ივნისს, ხოჯივანქის სასაფლაოზე.
(2—2)

## მოწოდება!

**ამხანაგებო, მეშებო და მოქალაქენო!**

ენფიანჯიანცისა, საფაროვისა, ბოზარჯიანცისა და „მირის“ თამბაქოს ფაბრიკების მუშებმა თავის ალებს მოთხოვნილებები წარუდგინეს, რომლის დაუკმაყოფილებლობამ აიძულა მუშები გაფიცულიყვნენ. ეს გაფიცვა აგერ ხუთი კვირაა, რაც გრძელდება. ალები კი წინდაწინ სინდიკატებათ შეკავშირდენ, რომ წინააღდგომოდენ მუშათა სამართლიან მოთხოვნას და გაეტეხათ მუშათა სოლიდარობა. ისინი გამეფებულ რეაქციაზე დაეყრდნენ, და არა თუ არ უნდათ მუშებს რამე დაუთმონ, პირიქით დახურეს ფაბრიკები და ასობით ცოლშვილიანი მუშები ქუჩაში გამოყარეს და ამით უსაქმოთ დარჩენილების რიცხვი კიდევ უფრო გაამრავლეს.

უნუგეშო მდგომარეობამ აიძულა დათხოვნილი მუშები მიემართათ უკიდურეს საშუალებისთვის, ხსენებულ ფაბრიკათა ნაწარმოების ბოიკოტის გამოცხადებისთვის. ჩვენ ერთხმათ ვუერთდებით მუშების ამ ნაბიჯს და მოვუწოდებთ მოქალაქეთ ენერგიულათ დაიცვან ბოიკოტი, რომ ამით რეაქციის მსხვერპლთ კაპიტალისტთა გაუმაძღარ მადასთან ბრძოლაში მიეშველოთ.

## დუმა რევოლიუციონირდება.

დუმას თანდათან გაბედულება და სიმაგრე ემატება მოქმედებაში, იგი თითქო თანდათან გარევოლიუციონერების გზას ადგება. ერთ წერილში ჩვენ გაგვითვალისწინეთ დუმის ბურჟუაზიულ უმრავლესობის ორჭოფი მდგომარეობა, რომელშიაც მას აყენებს ერთი მხრით რევოლიუციონურ მოძრაობის შიში, ხოლო მეორე მხრით კი არსებულ მთავრობის დამხობის ძლიერი სურვილი. დუმის ბურჟუაზიული უმრავლესობა ოცნებობს დღევანდელ მთავრობის გაუქმებაზე ისე, რომ ხალხის რევოლიუციონურ მოძრაობაზე დაყრდნობა არ დასჭირდეს, რადგან შიშობს, რომ ამით ხელს შეუწყობს ამ მოძრაობის გაძლიერებას და მით საფრთხეში ჩააგდებს თავის საკუთარ ბატონობას, რომლის დამყარებაც მისი მთავარი მიზანია. აი ასეთი ორჭოფი მდგომარეობის გამო დუმის უმრავლესობას დიდხნობამდე ვერ გადაეწყვიტა მედგრათ და გაბედულათ, ხელ-აღებით შეტაკება დღევანდელ მთავრობასთან, და ასეთ გაბედულ მოქმედების დაწყებაში მას ხელს უშლიდა ის გულუბრყვილო, ლიბერალური ოცნებაც, რომ მთავრობა თავისი ნებითაც დათმობს თავის პოზიციას. მაგრამ მთავრობის საარაკო სიჯიუტემ და მის მიერ დუმის ყოველგვარ განზრახვების ყბათ-აღებამ და ფეხქვეშ გათელვამ, ლიბერალებს თანდათან გაუფანტა ილიუზიები და დაარწმუნა, რომ მთავრობასთან მწვავე შეტაკება დუმას არ ასცდება. მეორე მხრით ხალხის რევოლიუციონური მოზღვავება დუმას მაგარ-მაგარ მუჯლუგუნს ცხებს და მბრძანებლობით უკარნახებს უფრო გაბედულ მოქმედებას დაადგეს. რევოლიუციონურ ხალხის გარედან მოზღვავებამ დუმის შიგნითაც ჰპოვა თავისი გამოხმობა დუმის მარცხენა ნაწილის მოთხოვნებში და აი ეს რევოლიუციონური ნაწილიც გაბედულ მოქმედების გზისაკენ მძლავრათ აწევება დუმის უმრავლესობას. ამას გარდა, რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო მთავრობა კრიტიკულ მდგომარეობაში ვარდება, ფეხ-ქვეშიდან ნიადაგი ეცლება და მეტის-მეტათ უძლურდება, და აი ესეც დუმის უმრავლესობას გაბედულების სულს ბერავს. ყოველივე ეს ხელს უწყობს დუმის მედგრათ გამოსვლას გაბედულ მოქმედების გზაზე, და აი 13 მაისიდან დაწყებული დუმა სულ უფრო და უფრო მედგრათ ამაღლებს ხმას და თვით უფაქიზესი „ზრდილობით“ შემკული და უმწვერვალესათ თავდაჭერილი ბურჟუები და ბრწყინვალე გრაფებიც-კი მკვახე-მკვახე ეპიტეტებით უმასპინძლდებიან მთავრობის წარჩინებულ წარმომადგენლებს.

ასეთი შეტაკება დუმასა და მთავრობას შორის ამ ბოლო დროს უმწვერვალეს წერტილამდე მწვავდება რის აშკარა მაგალითს გვიჩვენებს ის შფოთიანი სცენა, რომელიც 19 ივნისს გაიმართა დუმის დარბაზში. საკმაო იყო ტრიბუნაზე უმანკო მსხვერპლთა სისხლით გათხუპნული პროკურორი პავლოვი გამოჩენილიყო, რომელსაც თავისი აზრი უნდა გამოეთქვა სიკვდილით დასჯის შესახებ, რომ მთელ დუმას გულაღშფოთებით საშინელი ყვირილი აეტეხა: „შორს ჩვენგან ჯალათიო“, „გაეთრიე აქედან, კაცის მკვლელო, ადამიანთა მჭამელო!“ და დუმის გაბრაზება იქამდე მივიდა, რომ საზიზღარი ჯალათი მართლაც დარბაზიდან გარეთ გამოაგდეს. დუმამ ეს არ იკმარა. მან არ მოუცადა იმის გაგებას, თუ რა აზრისაა მთავრობა სიკვდილით დასჯის შესახებ, და სხდომა არ შეწყვიტა, ვიდრე ერთხმათ არ მიიღო კანონპროექტი, რომლის ძალითაც სიკვდილით დასჯა სრულიად უქმდება. რა თქმა უნდა, უუფლო დუმის-მიერ მიღებულ კანონს მთავრობისათვის არავითარი სავალდებულო მნიშვნელობა არ შეუძლია ექნეს, მთავრობა არ მიანიჭებს მას სანქციას, მაგრამ დუმა არ საჭიროებს ასეთ სანქციას თავის მიერ უარყოფილ მთავრობისაგან, არც მოელოდა და არც მოელის მისგან ამას. სამაგიეროთ დუმის კანონს სანქციას მიანიჭებს მთელი ხალხი, ამ კანონს მედგრათ დაიცავს თვით რევოლიუცია, და რამდენათაც ძლევამოსილი იქნება ეს უკანასკნელი, იმდენათ სავალდებულო გახდება ხსენებული კანონი ყველასათვის, და მაშასადამე, დღევანდელ მთავრობისათვისაც.

აი ამ აზრით, დუმამ აღნიშნულ კანონპროექტის მიღებით მტკიცე ნაბიჯი გადადგა წინ რევოლიუციონურ გზისკენ.

## ლაქიობა სათათბიროში

ლიბერალების ტაქტიკის არსება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მუდამ ზევიდან, მთავრობისაგან მოელიან თავისუფლებას, მათ საქმე ასე აქვთ წარმოდგენილი: განათლებული პროფესორები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი მეფეს დაუმტკიცებენ, რომ ხალხისთვის საჭიროა თავისუფლება, რომ თავისუფლების მიცემა სარგებლობას მოუტანს როგორც თვით მას, მეფეს, ისე ხალხსაც; როდესაც მეფე დარწმუნდება ამ აზრის სიმართლეში, ხალხს მიანიჭებს თავისუფლებას. მხოლოდ ნუ აჩქარდებით, გვემუდარებიან ლიბერალები, ნუ გავ ჯავრებთ მეფეს, ხვეწნით მივმართოთ მას, დავარწმუნოთ, რომ ჩვენ მეფის ერთგულება გვალაპარაკებს, რომ ჩვენ გვრწამს, რომ მეფე კეთილია, ხალხისთვის ბოროტს არ ინებებს და სხ.

ამნაირმა ლაქიურმა ტაქტიკამ მეტათ საზიზღრათ ამ ბოლო დროს იჩინა თავი კადეტების მოქმედებაში. კადეტების ლიდერმა როდიჩევმა ლაქიობაში ჰერკულესის ბოძებამდის მიაღწია. სწორედ გულის ასამღვრევია ის მლიქვნელობა და პირფერობა, რომელიც გამოიჩინა ამ ვაჟბატონმა უკანასკნელ სიტყვაში. „ჩემის აზრით, სთქვა ამ განათლებულმა გვამმა, ხელმწიფე ბოროტებას ვერ ჩაიდენს. ბოროტებაში და უსამართლობაში, რომელიც მის სახელით კეთდება, მას წილი არ უდევს... ჩვენ უნდა დავგვარწმუნონ, რომ მთელი ის სისხლი, რომელიც რუსეთში იღვრება, მთელი ის სისხლი, რომლითაც მოსვრილია კაზაკების დროშები, უმაღლეს ბრძანებითაა დაღვრილი? თავის დღეში არა!.. თავხედობა იქნება ვიფიქროთ, რომ ხელმწიფე ვერ შეიგნებს ხალხის სამართლიან მოთხოვნებს! ეს თავხედობაა და ხელმწიფის სახელის დამცირება! ეს სიტყვები არცხვენენ იმ ბაგეთ, რომლებიც მათ წარმოსთქვამენ!“—ალტაცებული ტაშისცემა, რომლითაც ყოველ ნაბიჯზე სიტყვას აწყვეტინებდენ როდიჩევს, გვიმტკიცებს, რომ კადეტებს კარგათ შეუსისხლხორცებიათ ლაქიობა, ფეხთა მლოკობა. სუბიექტიურათ ასეთი ტაქტიკა გულის ასამღვრევია: ის გვიჩვენებს კადეტების ზნეობრივ გათახსირებას. რა მნიშვნელობა აქვსამ ტაქტიკას ობიექტიურათ?

რუსის ხალხს აქამდის ძვალ-რბილში ქონდა გამჯდარი მეფეების სიყვარული. მეფე მას მიაჩნდა არა-ჩვეულებრივ, ღვთიურ არსებათ; მის სახელს ხალხი ისეთივე შიშით და მოკრძალებით იხსენიებდა, როგორც ღვთის სახელს. ხალხის ცრუ-მორწმუნეობამ მეფეს მოახვია რაღაც ზეციური შარავანდედი. რევოლიუციის გამაცოცხლებელმა სიომ ხალხს რამდენათმე გაუქარვა ეს ცრუმორწმუნეობა. რაც დღე გადის, ეს ველური ცრუმორწმუნეობა უფრო და უფრო იფხვრება, ადამიანის გაღმერთება ხალხში ფესვებს კარგავს, ხალხი ირკვევა, ხალხი ნელნელა ეჩვევა სიმართლის პირში ცქერას, ხალხი ცნობიერდება,—და აი ამ დროს გამობრძანებულან როდიჩევი და К. და ცდილობენ ეს ცრუმორწმუნეობა კიდევ უფრო ღრმათ ჩაუნერგონ ხალხს გულში, ხალხი დაარჩინონ ველურ შეხედულებების ფარგალში; ხალხს ბნელეთიდან გამოსასვლელ გზას ულობავენ და ცდილობენ დაახშონ ყოველი ჭუჭრუტანა, რომლიდანაც ხალხს სინათლე მისდის! და ამას ჩადიან ევროპიულათ განათლებული ბატონები, სახელოვანი მეცნიერები და პროფესორები! ხომ ვერავინ იტყვის, როდიჩევს სწამს, რასაც ამბობსო. არა! როდიჩევი ჭკვიანი კაცია! მან დიდი ხანია თავიდან მოიშორა ყოველი ცრუმორწმუნეობა! მაშ ვისთვის უთქვამს ეს გულის ამღვრევი სიტყვა?—ხალხისთვის! მან იცის, რომ ტელეგრაფი მთელს რუსეთს მოფენს მის სიტყვას, და მას სურს თავის სიტყვებით გაუძლიეროს ხალხს განელებული თაყვანისცემა მეფისა!

ნუ თუ არ ესმით ამ მაღალ განათლების პატრონებს, რომ ამნაირ ქადაგებით ისინი ბნელეთს ემსახურებიან და რეაქციის ლაქიების როლს თამაშობენ?

## დუმა და ხალხი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმა. ჟორდანიას.

ტრამვაის მოსამსახურეთა მიტინგი (რიცხვით 600 კაცი) მოითხოვს მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის-კაცის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, სიკვდილით დასჯის გაუქმებას და დამფუძნებელ კრების მოწვევას.

— **პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმა. დეპუტატ ჟორდანიას.

„კახეთის“ საზოგადოებაში მოსამსახურე 45 კაცი მოითხოვს დაუყოვნებლივ სიკვდილით დასჯის გაუქმებას და მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის-კაცის განთავისუფლებას, რომელთა საქმე ხვალ ირჩევა სამხედრო სასამართლოში და რომელთაც სიკვდილით დასჯის გადაწყვეტა მოელის.

— **პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. დეპუტატ ნოე ჟორდანიას.

ტფილისის მოსამსახურეთა კრება (რიცხვით 3000 კაცი) 20,000 ამხანაგის მონდობილებით სალამს უძღვნის მუშათა დეპუტატებს. იბრძოლეთ მედგრათ საერთო ამნისტიისა, სიკვდილით დასჯის გაუქმების, მიწის და თავისუფლების და დამფუძნებელ კრებისათვის საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით ეროვნების და სქესის განურჩევლათ. იცოდეთ, რომ თქვენთან ერთათ ჩვენც მზათა ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ.

თფილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი.

— **პეტერბურგი.** ტავრიჩის სასახლე—ჟორდანიას.

ადელხანოვის ფეხსაცმელების ქარხნის მუშები (რიცხვით 300 კაცი) პროტესტს აცხადებს მინგრელსკის პოლკის 27 ჯარის-კაცის საქმის სამხედრო სასამართლოში განხილვის წინააღმდეგ და მოითხოვს თავისუფლებისათვის მებრძოლ ჯარის კაცების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

— **პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ნ. ჟორდანიას.

ჩვენ, თფილისის ნოქრები სალამს ვუძღვნით სოციალდემოკრატიულ ფრაქციას, მოითხოვეთ მედგრათ მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის კაცის განთავისუფლება, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოელის, მოითხოვეთ აგრეთვე დამფუძნებელი კრება. ჩვენც თქვენთან ვართ.

მთელი თფილისის ნოქრების მონდობილობით მიხეილ გულიევი და გიორგი ჩიქოვანი.

— კავკასიის პირველ საპიორნი ბატალიონის შტაბ-კვარტირის კამანდამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სათათბიროში დეპუტატ ჟორდანიას:

„წინააღმდეგობას ვაცხადებთ საზოგადოთ სამხედრო სამართლის და სიკვდილით დასჯის შესახებ. მოვითხოვთ მინგრელსკი პოლკის ამხანაგ სალდათების განთავისუფლებას“.

— ჩვენ, თფილ. წყლისაყვან ცეხის პროფეს. კავშირის წევრები, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნან მინგრელსკი პოლკის 27 სალდათი. მასთან მოვითხოვთ გაუქმებულ იქნას სიკვდილით დასჯა. ხელს ვაწერთ 114 კაცი. ამხანაგების მონდობილობით თფილ. წყლისაყვან ცეხის პროფეს. კავშირის ბიურო.

## ახალი ამბები

**რ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის** თფილისის ორგანიზაციის გადაუწყვეტია **გამოაცხადოს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა** დღეს, 22 ივნისს, ნიშნათ თანაგრძნობისა მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის კაცისადმი, რომლებსაც დღეს გაასამართლებს სამხედრო სასამართლო. ამის გამო თფილისის სარაიონო წარმომადგენელთა კონფერენციამ ქუჩებში მოწოდება გააკრა, რომელშიაც მოუწოდებს მოქალაქეებს, მხარი დაუჭირონ საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას და მით ძალა დაატანონ სასამართლოს, რომ ჯარის კაცნი სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნენ.

ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს ამომრჩევლებმაც.

ამნაირივე მოწოდება გააკრა **„თფილისის გარნიზონის სალდათთა კავშირმაც“**, რომელიც მოუწოდებს ყველა ჯარის კაცთ ნუ დავანებებთ ჩვენს მთავრობას ჩვენი ამხანაგების დასჯასო, მოვითხოვოთ მათი განთავისუფლება, მთავრობას აჯანყებას დავემუქროთო.

✦ თფილისის დეპოს მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა ცეხის ორგანიზაციამ თანახმათ თფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაციის დადგენილებისა **გაფიცვა გამოაცხადა.** მატარებლების მიმოსვლა შეწყდება 21 ივნისის ღამის პირველ საათიდან 22 ივნისის ღამის პირველ საათამდე.

✦ **ენფიანჯიანცის ფაბრიკის მუშების პროტესტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.** ოთხშაბათს, 21 ივნისს მომხდარ მიტინგზე ენფიანჯიანცის ფაბრიკის მუშებმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს. „ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და მოვითხოვთ მის რაც შეიძლება მალე გაუქმებას; **მოვითხოვთ აგრეთვე დაუყოვნებლივ განთავისუფლებას მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის კაცის,** რომელთა გასამართლება 22 ივნისისათვის არის დანიშნული“. რეზოლიუციას ხელს აწერენ მთელი ფაბრიკის მუშები.

✦ **დღეს, 22 ივნისს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოში გასარჩევათ დანიშნულია საქმე მინგრელსკი პოლკის იმ ჯარისკაცთა,** რომელთაც მარტში ამ პოლკში ჯარის კაცთა შორის მომხდარ არეულობაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ. სასამართლოს თავმჯდომარეობს გენერალი შერბოვიჩ-ვეჩორი. პასუხის გებაში მიცემულნი არიან: ეფრეიტორი სპორნი, ალექსი ნიკიფოროვი, ნიკოლოზ სოკოვი, კობაიძე და სხვა, სულ 27 კაცი. ბრალდებულთ იცავენ კაპიტანი თავ. ვეზირიშვილი და კაპიტანი თავ. უსინოვსკი, ბრალს სდებს სამხედრო სასამართლოს პროკურორი ვოსტროსაბლინი. 27 სალდათთაგან ეფრეიტორ თედორე სპორნის, სალდათებს—ალექსი ნიკიფოროვს, ნიკოლოზ სოკოვს, ტიგრან ოკოევს და ანდრია ბერეზუცკის ის ბრალი ედებათ, რომ ამათ ამ წლის 26 მარტს არეულობის დროს არ შეასრულეს ხსენებულ პოლკის მორიგე აფიცრის, კაპიტან ბოგომოლოვის ბრძანება, რომელიც ამ უკანასკნელმა ხსენებულ სალდათებს მე-13 როტის ფელდფებელის გაბრიელოვის საშუალებით გადასცა. ბრძანებით უნდა მიეტანათ ხსენებულ აფიცრისათვის გასაჩხრეკათ მიტინგზე დაპატიმრებულ სალდათების უნტერ-აფიცრის ბაგაევისა და ბაჩულინის ნივთების ყუთი, მაგრამ ბრალდებულებმა და მათთან ერთად კიდევ სხვა 8 სალდათმა, რომლებიც ვერ აღმოაჩინეს, ფელდფებელს გაბრიელოვს უთხრეს, რომ დაპატიმრებულ სალდათების

ყუთებს ვერ დაგანებებთ, ეგ შეურაცხყოფათ მოგვაჩნიაო. კაპიტან ბოგომოლოვს და ფელდ. გაბრიელოვს ბრალდებულ სალდათების ყუთების გაჩხრეკისათვის ამის შემდეგ თავი მიუნებებიათ, რადგან დაუნახავთ, რომ სალდათები იმუქრებოდენ და მოსალოდნელი იყო, რომ საქმე ცუდ ხასიათს მიიღებდა. ზემოხსენებულ სალდათებს სასამართლოში ბრალი ედება სამხედრო წესდების მე-10 მუხლის ძალით. ეფრეიტორს თ. სპორნის, ნიკიფოროვს, სოკოვს, ოკოევს, ბერეზუცკის, უნტერ-აფიცერ სიმონ ბალაევს, სალდათს გრიგოლ ფედოტოვს, მე-15 როტის უნტერ-აფიცერს ივანე კატუნოვს, ეფრეიტორ ანდრია მედვედევს, აკიმ ფოლკს, იზრაილ ენდერს, ალექსანდრე ბოიკოს, ვასილ გურტოვს, მე-12 როტის უნტერ-აფიცერს ნიკოლოზ რეზცოვს, საველი პერევერზინს, ივანე პარშინს, ანისიმ ივანჩენკოს, ევგენი ანიკინს, სტანისლავ გრჟესიკოვსკის, მე-9 როტის სალდათის ივანე კობაიძეს, მე-10 როტისა გუშენ მანუკოვს, მე-4 როტის აბრამ ანშტეინს, მე-3 როტის ნიკოლოზ მაჭავარიანს, მე-16 როტის ტიმოთე გრიგორიევს და მუსიკის მოსწავლე კონსტანტინე ბაგაევს, იმ დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ, რომ როცა მათ შეიტყვეს მიტინგზე ამხანაგ სალდათების დაპატიმრება მათ მოუწოდეს მინგრელსკის პოლკის ბატალიონების სალდათებს რამდენიმე ას კაცს და შეუდგენ თათბირს, თუ რა ღონისძიება ეხმარათ, რომ დაპატიმრებულები გაენთავისუფლებიათ. შემდეგ კი, როცა აფიცერ ბოგომოლოვს უბრძანებია: შესწყვიტეთ კრება და ყაზარმებში დაიშალენითო, ბრალდებულნი ამხანაგებთან ერთად საჩქაროთ იარაღების საწყობში ასულან, გაუტეხიათ შკაფები, გამოუტანიათ თოფები და საკმაო პატრონები. შემდეგ გამოსულან ეზოში, მოუწოდებიათ სხვა ნაწილის სალდათებისთვის, რომ ამათთან ერთად იარაღით ხელში გაენთავისუფლებინათ დაპატიმრებულები. ფელდფებელი გაბრილოვი და აფიცერი ბოგომილოვი ვერას გამხდარან. „აჯანყებულები“ ერთხმად ითხოვდენ დაპატიმრებულ ამხანაგების განთავისუფლებას. პოლკიდან სალდათებს ყველა შეერთებია, ხოლო მე-14 როტა არ გამოსულა. სალდათებს იარაღით ხელში მოუთხოვიათ, რომ ესენიც შეერთებოდენ. ამ უკანასკნელთ უარი უთქვამთ და ფელდფებელის ბრძანებით თოფების სროლაც დაუწყიათ. ამათ სროლაზე ეზოში შემოკრებილ სალდათებსაც გაუციათ პასუხი.—უნტერ აფიცერს ელისე, სმოლენსკის და მინეევს ის ბრალდებათ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ამათ მშვენივრად იცოდენ ბოგომილოვის ბრძანება, მაინც ავიდენ სხვა-და-სხვა ბატალიონებში და სალდათებში აგიტაცია გასწიეს. ესენი ურჩევდენ დანარჩენი სალდათებიც შემოერთებოდენ აჯანყებულთ. სასამართლოში ეს საქმე გაირჩევა დღეს გარეშეთა დაუსწრებლათ. საქმის გამოსაძიებლათ სასამართლოში დაბარებულნი არიან მოწმეები კაპიტნები: გ. ბოგომოლოვი, ვ. ყორლანოვი, გულიმ შახ-მირზა, პრაპორშჩიკი ევშტამპი, შტაბს-კაპიტანი მ. ორლოვსკი, ფელდფებლები გავრილოვი, კურილოვი, მორდევი, შიპოვალოვი, გუდკოვი, სივერჩუკი, პოპოვი, გლუშჩენკო, ბელი, ზაბალო, ციცორინი, როგოვოი, სოშნიკოვი, კუზმინი, კომაროვი, როქენკო, მარკოვი, მახოვი, გრედიხინი, ეფიმენკო, სერებრიაკოვი, კურდიუმოვი, შიროკარლი, ფედორინი, ბლიახტინი, შლიახტინი, შიგანევი, იასინსკი, მიტინი და სხვ. ის მოწმენი ბრალმდებელის მხრით არიან მოწვეულნი, ხოლო ბრალდებულთა მხრივაც არიან მოწმენი 30—კაცზე მეტი. საქმის გარჩევა ორ დღეზე მეტს გასტანს.

✦ **თფილისის ფარმაცევტები** იწვევენ უსაქმოთ დარჩენილ ამხანაგ-ფარმაცევტებს გამოცხადდენ ჩასაწერათ ელისაბედის ქუჩაზე, კოჩინევის აფთიაქში.

✦ ქიათურის მადნების მუშათა **გაფიცვა დასრულებულა.** მუშები 20 ივნისს შედგომიან მუშაობას.

✦ „შრომას“ ყვირილიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ 19 ივნისს იქ ყუმბარა უსვრიათ ბოქაულის თანაშემწე ნემსაძისთვის და ფეხში მძიმეთ დაუჭრიათ; დარაჯებს სროლა აუტეხიათ; მოუკლავთ თერძი აბაშიძე და დაუჭრიათ ვაჭარი მახარაძე, ხოლო ყუმბარის გადამგდები მიმალულა. **სალდათები გულგრილათ შეხვდენ თურმე და სროლაში მონაწილეობა არ მიიღეს.**

✦ როგორც გადმოგვცეს ოთხი თვის ციხეში ჯდომის შემდეგ ჩიტის სატუსაღოდან გაუთავისუფლებიათ ზაბაიკალის რკინის გზაზე კონდუქტორათ ნამყოფი **ნესტორ გოგიჩაიშვილი**. გოგიჩაიშვილს დეკემბრის აჯანყებაში წითელი რაზმის მეთაურობას აბრალებდენ.

✦ მეტეხის სატუსაღოში **ტუსაღთა გაფიცვა** გათავდა გაფიცულთა **სრული გამარჯვებით.**

## პარტიის ცხოვრებიდან.

**სტალიარების ცეხი.** (მეორე რაიონის პოდრაიონი). 21 ამ თვეს მოხდა პარტიული კრება სტოლიარებისა რეორგანიზაციის წესდების პროექტის განსახილველათ. დიდი ხნის კამათის შემდეგ ერთხმათ მოიწონეს მთელი პროექტი შემდეგი დამატებით.

მუხლი 5. ძირითადი ორგანიზაციის წარმომადგენელის დანარჩენ მოვალეობას მიემატოს შემდეგი: ამრჩევლების მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებანი გადაიტანოს ხოლმე რაიონის კომიტეტში, რის შემდეგაც უსათუოდ უნდა იქმნას გადატანილი ძირითად ორგანიზაციებში (იმ რაიონის რომლიდგანაც გამომდინარეობს) გადასაწყვეტათ.

მუხ. 6. ძირითადი ორგანიზაციის კრება იმართება კვირაში ერთხელ. არაჩვეულებრივ კრებას იწვევს რაიონ. კომ. ან და ძირით. ორგან. წევრების ერთი მეოთხედი.

მუხ. 12. შენიშვნა. „რაიონის კომ. აღგენს კომისიის თანამოაზრე მოქალაქეთა შორის ფულის მოსაგროვებლათ“, დაემატოს: ყველა რაიონულმა კომ. აგროვოს თავის ტერიტორიებში და წინდაწინვე იქნას გამოქვეყნებული გაზეთის თუ ფურცლების საშუალებით, როგორ მოიქცევა ფულის მომგროვებელი და როგორ მოიქცევა ფულის მიმცემი.

მე-14 მუხლის შენიშვნას: „კომიტეტი ირჩევს თავის შორის თითო წევრს ამა თუ კომისიისათვის, რომლებსაც არ უნდა ქონდეთ უფლება რაიონს გარეშე მდგომ კაცების შეყვანისა კომისიაში.

მუხ. 20. კოოპტაცია ისპობა. ყველა ორგანიზაციას აქვს უფლება სათათბირო ხმით მოიწვიოს რომელიმე ამხანაგი—მარა რაიმე ფუნქციის მიუნდობლათ.

ბიუროს რეზოლიუცია (დუმის კამპანიის შესახებ) მიიღო პირველ რაიონში ორმა კრებამ—პირველზე დაესწრო 22 კაცი,—მეორეზე 38 კაცი—(პარტიის წევრი—კონდუქტორები) და მესამე რაიონში 25 კაცის კრებამ.

## პროვინცია.

**ცხინვალი.** ქურდობა-ავაზაკობამ ამ რეაქციის დროს ძლიერ გაიდგა ფეხი. დღით მგზავრობა არ შეგიძლიათ და ღამე ძილი. პოლიციაავაზაკები თავისუფლებას გრძნობენ. ახლა დრო შეიცვალა. რეაქციისაგან განდევნილნი მოგროვდენ. წითელი რაზმი იკრიბება. ქურდ-ბაცაცები სოროებში ჩაძვრნენ. ამ წინაზე დაიჭირეს 12 ყაჩაღი. ცოტა ხნის შემდეგ დაიჭირეს კიდევ ოთხი კაცი. ყველანი ჯერ-ჯერობით დატყვევებული ჰყავთ. ყაჩაღები მაუჩნდენ. სამაგიეროთ სხვა გვარი ტერორი გახშირდა. სოფ. ერგნეთში დაეცენ მემამულე გენო მაჩაბელს და აიკლეს. 9 თიბათვეს ცხინვალის მახლობლათ მოკლეს ცნობილი „დათუა აისორი“, რომელმაც საზამთროთ უღალატა წითელ რაზმს. 13 ივნისს ცეცხლი წაუკიდეს ს. ერგნეთში ნიკო ხერხეულიძის საბძელს. მოკლეს აგრეთვე გიორგი გოგიშვილი. ამბობენ ჯაშუშობაში სდებდენ ბრალსო. ხალხის მოძრაობა დღითი დღე იზრდება და ძლიერდება.

ღ. ელ—შვილი.

**დ. ყვირილა.** მკითხველს ეხსომება ყვირილის თავგადასავალი და ვისაც გზათ გაუვლია ის თავისი თვალით დაინახავდა ჩინგის-ხან ავარიელის ტრიუმფიალური შემოსვლის ნაშთს. მას შემდეგ ჯაშუშ-პროვოკატორნი და აღვირ წასხნილი პოლიციელები დაეპატრონენ ამ დაბას.

დღეს სურათი იცვლება. რეაქცია ფერსა კარგავს და ხალხი კი წელში იმართება, მაგრდება. დაფრთხენ ბნელეთის მსახურნი და შერიგების ხმაზე გნავილი მორთეს. მრავალჯერ გამოცდილი ხალხი ახლა გაარჩევს ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს და მათ მოქმედებას მსჯავრს დასდებს.

19 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე შემდეგი ამბავი მოხდა. ვიღაც უცნობმა ბომბით საგრძნობლათ დასჭრა ფეხში ყველასაგან ცნობილი პროვოკატორი კოლია ნემსაძე. დაიჭრა აგრეთვე ბოქაულის მწერალი კეკვაძე. ბომბის მსროლელი მაიმალა. მესვე გაჩნდენ ბოქაულები თავიანთი რაზმებით და დაიწყეს „კრამოლნიკების“ ძებნა. ერთმა მათგანმა, განთქმულმა ჭაჭიაშვილმა მოკლა სულ უდანაშაულო თერძი ი. აბაშიძე, ჭაჭიაშვილს არც კოჭ. ყდენტი ჩამოუვარდა და რევოლვერით დასჭრა ვაჭარი მახარაძე. მეორე დღეს ეს კაცის მკვლელი ემაწვილი ბაზარში დადიოდა და თავს იმათ იმართლებდა, რომ „ხულიგანი“ მიწოდესო. ბოქ. მახარაძე უფრო პირდაპირი კაცია. ის ამბობდა: „სისხლზე სისხლით გიპასუხებთ და ერთის მაგიერ ათასს მოგიკლავთო“.

Lolia

## ადვილობრივი პრესა.

„ბოლშევიკების“ გაზეთში, რომელიც გამოდის რუსულ ენაზე ბაქოში („პრიზივ“ № 5) დაბეჭდილია მეთაური „შესახებ თფილისის არჩევნებისა და სოციალდემოკრატიის გამარჯვებისა“.

ამ წერილის წაკითხვაზე გაოცებული ხართ, თუ როგორ უნდა მივიდეს ადამიანი, თუნდაც „ბოლშევიკი“, ასეთ პოლიტიკურ სიბრმავემდი, როგორსაც იჩენს მისი ავტორი.

წერილი იწყება იმით, რომ ავტორი ირონიულათ გაიძახის, ვითომ მას,—როგორც ბოიკოტის მომხრეს—სინდისის ქენჯნა არ შორდებოდეს მას შემდეგ, რაც თფილისში სოც.-დემოკრატიამ ბრწყინვალეთ გაიმარჯვაო. ნამდვილათ კი, რასაკვირველია, ამტკიცებს, რომ ერთათ ერთი შეუმცდარი ტაქტიკა იყო სწორეთ ბოიკოტი. აი საბუთებიც.

„ჩვენ გავიმარჯვეთ (არჩევნებზე),—სწერს იგი—მაგრამ რა ფასათ დაგვიჯდა ეს გამარჯვება! თანახმათ სოციალდემოკრატიულ შეხედულებისა საჭირო იყო გვებრძოლნა კადეტებთან, გამოგვეაშკარავებინა მავნებლობა მათი ტაქტიკის. რომელიც ესწრაფის დამალოს ანუ გააზვიადოს დუმის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, საჭირო იყო გვებრძოლნა და ვცდილიყავით მოგვესპო ის კონსტიტუციონური ილლიუზიები, რასაც ისინი, კადეტები, ხალხში ავრცელებდენ ბეჭდვით, თუ სიტყვიერათ. მერე ასე მოვიქეცით ჩვენ თფილისში?—არა, რადგან მაშინ ვერავითარ გამარჯვებასაც ველარ მოვიპოვებდით“.

აი ამასა სწერს თფილისელი „ბოლშევიკი“... „სირცხვილო, სად არის შენი სიწითლე!“.

ყველა რიგიანმა ადამიანმა კარგათ იცის, რომ ჩვენ საარჩევნო აგიტაციის დროს ვებრძოდით—და სწორეთ ისე, როგორც ამას თხოულობს მოხსენებული ავტორი—ვებრძოდით არა მარტო კადეტებს, არამედ ყველა არა სოც.-დემოკ. პარტიებს. მაგრამ ეს არ იცის ამხანაგმა (?!), დაბრმავებულმა „ბოლშევიკმა“. ამის სიტყვით, ჩვენ მარტო იმას ვაკეთებდით, რომ „საარჩევნო ოთახის კარებთან ამრჩეველებს ვუხვდებოდით ხოლმე ასეთი კითხვებით: „ზარბაზნები გინდა?“, „ტყვიის მტყორცნელები გინდა?“ და სხ. —„არა“, უპასუხებს „ობივატელი“—„მაშ აიღე წითელი ბიულეტენი“ და აი „წითელ ზე“ მინდობილი ობივატელი მიდიოდა საარჩევნო ყუთთან და აგდებდა წითელ ბიულეტენს“. ამას მეთაურის ავტორი მწუხარეთ დასძენს: „ბიულეტენებით მოსპობა შტიკების, ე. ი. იმ წესწყობილების რომელიც დაყრდნობილია ამ შტიკებზე! ეს ხომ ნამდვილი კადეტობაა“. აი ასე გადმოგვცემს საქმეს ჩვენი „ბოლშევიკი“.

თუ ჩვენს საარჩევნო აგიტაციას ავიღებთ —ცოტა სერიოზულათ—და არა ისე ოხუნჯურათ, როგორც ამას „ბოლშევიკი“ შვრება—ადვილათ დავინახავთ, რომ აქ „ბოლშევიკს“ ტყუილათ ელანდება კადეტობა. კადეტები არჩევნების და სახელმწიფო დუმის საშუალებით ცდილობენ რევოლიუცია ჩააქრონ და სახელმწიფო „კრიზისი“ მშვიდობიანათ, პარლამენტარული გზით გადაწყვიტონ. ჩვენ კი იმავ არჩევნებსა და სახ. დუმას ვიყენებთ რევოლიუციის გასაფართოებლათ და გასაღრმავებლათ. თვითონ ჩვენი ავტორი, „ბოლშევიკი“ აღიარებს, რომ „დუმა თავისი უკიდურესი „რეჟიმით“ შეიპრა იმპერიის მიყრუებულ ადგილებშიაც, მან შეარყია (ВСКОЛЫХНУЛЪ) ხალხის ბნელი ნაწილები და ხელ-უხლებელი არ დასტოვა თვით „ცოცხალი ავტომატები“, სალდათები“, ე. ი. დუმამ, ისე როგორც დუმის არჩევნებმაც, გაზარდა რევოლიუციის ძალები, მაშასადამე შეამცირა შტიკების, ძველი რეჟიმის ძალები, მაშასადამე „ბიულეტენებს“ მნიშვნელობა ქონია „შტიკების მოსპობაში“.

და ამიტომ, როცა ჩვენი ავტორი ამბობს „ჩვენ (არჩევნებში მონაწილეობის მიღებით) რამოდენიმე თანამოაზრენი გავხდით იმ დანაშაულობის, რომელიც ჩაიდინეს კადეტებმა და რომელსაც ჩვენ ასე ვებრძოდითო, ჩვენ თვითონ ხელი შევუწყეთ კონსტიტუციონალურ ილლიუზიების გავრცელებასო“, ამით ამხ. „ბოლშევიკი“— მეტი რომ არა ვთქვათ—მხოლოდ სისულელეს ამბობს. ჩვენ შემწვარ ხოხობს არავის ვპირდებოდით. პირიქით, დუმაში მიმავა-

## ფელეტონი

* *
*

შეირყა მუხა ძველ დროის,
ვეღარ იკიდებს ფესვებსა,
ფურცელი სცვივა ნელნელა,
ჩქარა დაუშვებს ტოტებსა.
ძირი უხმება, არ გასძლებს,
რაცგინდ დაუსხან წყალია,
ქვეშ მეოფებს ძლიერ სჩაგრავდა,
არც არის შესაბრალია!
ძლიერ სწუხს ყვავ-ყორანი,
დასხნავის წყეულს თავზედა,
ენანება მისი გახმობა,
აღმრფხვრა ქვეყანაზედა.
ღორებიც სწუხან, რას იზმენ,
ბინა ეკლებათ ტყეშია!
ბატონობასა კარგავენ
თავიანთ სიცოცხლეშია!
დაიმშევიან ბედკრულნი,
რკოს ვეღარ მოიპოვებენ,
სხვის საკუთრებას თავისთვის
აწ ვეღარ დაიტოვებენ.

მუშა სარქის.

## დიალექტიური მეთოდი და ანარხისტები*)

### IV

ჩვენ დავინახეთ, როგორ უყურებენ ანარხისტები სახელმწიფოს. სახელმწიფო, მათი აზრით, ვიღაც ბოროტ პირებისგან გამოგონილია ხალხის დასამონავებლათ. ამიტომ სახელმწიფო სულ მუდამ, დროსა და გარემოების მიუხედავათ, ბოროტებაა და მისი საკეთილოთ გამოყენება შეუძლებელია, მაშასადამე დღესვე უნდა შევუდგეთ მის მოსპობას.

ესევე მსჯელობენ ანარქისტები კანონის შესახებ. ბოროტ-განმზრახველ პირებს ხალხის წინააღმდეგ შეუქმნელობა მოუხდენიათ და გამოუგონიათ კანონი. მათ დაურწმუნებიათ ხალხი, რომ „კანონი გამომხატველია საზოგადო სურვილისა, საზოგადო ინტერესებისა“, რომ უკანონოთ „საზოგადოება დაიღუპება და ადამიანი პირველყოფილ, ველურ მდგომარეობას დაუბრუნდება“, რომ კანონი „ადამიანის სიცოცხლის გარანტიაა“ და სხვა. აი ამ ვერაგულ სიცრუის წინააღმდეგ ამხედრებულა „ნობათის“ მეცნიერი რაინდი ბ-ნი Bâton-ი და, რადგან კანონის გამოგონების დროს არ ყოფილა არც ერთი ანარხისტი, რომ ხალხისთვის თვალი აეხილა და კანონმდებლობის ვერაგული განზრახვა გამოემზეურებინა, იგი ცდილობს ეხლა მაინც შეავსოს ეს ნაკლი და ეხლა მაინც დაანახოს ქვეყანას კანონის აბსოლიუტური ბოროტება. თავის სააგიტაციო ტრიბუნიდან—„ნობათის“ ფურცლებიდან, იგი ამნაირ მამხილებელ სიტყვებით მიმართავს ქვეყანას: „კანონი მოგონილია მათ მიერ, ვინც ბატონობა ჩაიგდო ხელში, ე. ი. ვინც ძარცვა გლეჯის ორგანიზაცია მოაწყო და მონოპოლის ბეჭედი დაასვა მას... თავის სიმდიდრის და ბატონობის განსამტკიცებლათ“ („ნობ.“ № 3). ბოროტ პირთაგან „გამოგონილი კანონი, რასაკვირველია, ბოროტების გარდა ვერას დასთესს. მატყუარა იურისტები გვარწმუნებენ, ვითომც კანონი დანაშაულობას სპობს; ნუ დაუჯერებთო იურისტებს, გვეშუდარება აგიტატორი-ანარხისტი: „კანონი დანაშაულთა წყაროა!“ „მოსპეთ კანონი, მოისპობა დანაშაულიც! („ნობ.“ № 4). იურისტები გვარწმუნებენ, ვითომც კანონი საზოგადოებრივობის განმამტკიცებელი იყოს: „ეს პირდაპირი სიცრუეა... სიცრუეა ურცხვი, მურტალი, ტყუილი!“—გაჰყვირის ბ. Baton-ი: „კანონი ანტისოციალური მოვლენაა!“ ერთის სიტყვით კანონი თავის არსებაში შეიცავს ბოროტებას, მაშასადამე იგი ბოროტებაა ყველგან, ყოველთვის, მისი კეთილათ გამოყენება შეუძლებელია და ამიტომ ეხლავე უნდა შევუდგეთ მის მოსპობას. როგორც მკითხველი ხედავს, ბ. Baton-ი უყურებს კანონს, როგორც აბსოლიუტურს დროსა და გარემოების დამოუკიდებელს, მოვლენას. იგი მსჯელობს განყენებულათ, იგი იღებს „კანონს“ როგორც უცვლელ მოვლენას და, მაშასადამე იგი მსჯელობს მეტაფიზიკურათ.

როგორ უნდა შევხედოთ კანონს დიალექტიკურ მეთოდის მიხედვით? კანონი არ არის ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული მოვლენა; კანონი ისევე ცვალებადია, როგორც კაცობრიობის ცხოვრება. არ შეგვიძლია ვთქვათ, „კანონი კარგია“, ან „კანონი ავიაო“. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვთქვათ, ესა და ეს კანონი ამა და ამ გარემოებაში კარგი არის ამა და ამ კლასისთვის; ავიღოთ მაგალითი: სიტყვის, ბეჭდვის და სხ. თავისუფლების კანონი თითონ ბურჟუაზიამ მოითხოვა და მედგრათ იბრძოდა მის განსახორციელებლათ, მაშასადამე ეს კანონი „კარგი“ იყო ბურჟუაზიისთვის იმ დროს, როცა ბურჟუაზია ფეოდალურ წეს-წყობილებას ებრძოდა და თავის აზრების თავისუფლათ გავრცელება უნდოდა; მაგრამ იმავ დროს ეს კანონი იყო „ცუდი“ მონარხებისთვის და მაღალ წოდებისთვის; გავიდა დრო, ბურჟუაზიამ ფეოდალური წყობილება დაანგრია და ზედ თავისი სამფლობელო აავო; ეხლა კი ისევ ის კანონი (სიტყვის, ბეჭდვის, კრების და სხ. თავისუფლება) ბურჟუაზიისთვისაც „ცუდი“ გახდა, რადგან ამ კანონით სარგებლობს გაღვიძებული პროლეტარიატი, რომელიც ამ კანონს ბურჟუაზიის ჩამოსაგდებ იარაღათ ხმარობს; მაშასადამე ეს კანონი პროლეტარიატისთვის ძალიანაც „კარგი“ ყოფილა. ყოველ კანონს, როგორც ყოველს მოვლენას, ამ თვალით უნდა შევხედოთ. ეს ისეთი მარტივი, თავის-თავათ ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ მხოლოდ მეტაფიზიკის მორევში ჩავარდნილი კაცი იტყვის წინააღმდეგს; მხოლოდ მეტაფიზიკისაგან შებორკილ! გონებას შეუძლიან სთქვას, კანონი ყველგან და ყოველთვის ბოროტებააო.

როგორც დავინახეთ, კანონის წარმოშობაც ისევე მეტაფიზიკურათ აქვს წარმოდგენილი ბ-ნ ანარხისტებს; საქმე თურმე უბრალოთ აიხსნება: უწინ თურმე ხალხს კანონი არ ქონია: „მათ ქონიათ ხანგრძლივ საზოგადოებრივი ცხოვრებით შემუშავებული ჩვეულებანი, შინაგანი და გარეგანი,—და ამ ჩვეულებისამებრ ცხოვრობდენ“. ცხოვრობდა თურმე ასე არხეინათ ხალხი, სანამ არ გამოჩნდენ ბოროტი პირები და „სიმდიდრის და ბატონობის განსამტკიცებლათ“ არ „გამოიგონეს“ კანონი. მას შემდეგ დაიწყო ხალხის უბედურება. ჩვეულებებსა და კანონებს შორის ბ. Bâton-ი არაფერს გადასასვლელს საფეხურს არ ხედავს: ან ჩვეულებები, ან კანონი, აი ამ ფორმულით მსჯელობს იგი; ჩვეულებანი და კანონი, მისი აზრით, „ისტორიაში სასტიკი მებრძოლნი იყვენ ერთმანეთისა“, მათ შორის არაფერი ხიდი არ ყოფილა. კანონი რომ გამეფდა, ჩვეულებები გაუქმდა.

ამნაირი თეორია კანონის წარმოშობისა იმდენათ აბსურდულია, რომ ადვილათ დავიჯერებთ, რომ ბ. Bâton-ის შემოქმედებითი ნიჭის ორიგინალური ნაყოფია. საღი გონება კი გვეტყვის, რომ კანონი ისტორიულმა საჭიროებამ წარმოშობა და არ არის „გამოგონილი“ ბოროტ კაცებისაგან: „უფლება, ამბობს პროფ. კორკუნოვი, როგორც ენა და ზნე-ჩვეულებანი, წარმოსდგა თავისთავათ, შეუთანხმებლათ, უბრძანებოთ, მარტო იმის გამო, რომ გარემოებები ასე მოითხოვდა“. უფლების, კანონის წარმოშობა, კორკუნოვის აზრით, არ არის შეგნებული აქტი, უფლება წარმოიშვა შეუმჩნევლათ, შეუგნებლათ, რადგან მას მოითხოვდა საჭიროება. კორკუნოვს ასე აქვს წარმოდგენილი კანონის წარმოშობა: პირველ-ყოფილი ადამიანი ცხოვრობდა და მოქმედებდა ისე, როგორც მისი მამა-პაპა. ხანგრძლივმა ერთ პირობებში ცხოვრებამ იგი დაარწმუნა, რომ ამა და ამ პირობებში სულყველამ ამა და ამნაირათ უნდა იმოქმედონ; და ყოველი წევრი საზოგადოებისა ამ რწმენისამებრ მოქმედებდა; მაგრამ უცბათ რომელიმე წევრმა გარემოების ზედგავლენით, ჩვეულებას უღალატა და ისე არ მოიქცა, როგორც მისი მეზობლები მოელოდენ; მოლოდინის გამტყუნებამ მეზობლებს საქმეში ხელი შეუშალა, მეზობლები გააჯავრა; ჩვეულების დარღვევამ მათ უსიამოვნება მიაყენა; აქ დაიბადა აზრი, რომ ჩვეულება სავალდებულო უნდა იყოსო. ამნაირათ, „უბრალო ჩვეულება, რომელსაც საზოგადოება შეუგნებლათ, ინსტინქტიურათ მისდევს, ხდება შეგნებულ, სავალდებულო იურიდიულ ჩვეულებათ“. დროთა ვითარებით, როცა საზოგადოებაში თავი იჩინა სხვა და სხვა ჯგუფთა შორის ბრძოლამ, სხვა და სხვა ჩვეულებებიც ერთმანეთს შეეტაკენ და დაიწყო „უფლებისათვის ბრძოლა“; რასაკვირველია, სავალდებულო გახდა ის ჩვეულება, რომელიც ეკონომიურათ ძლიერ ჯგუფებს სურდათ. წერა-კითხვის გაჩენის შემდეგ ეს ჩვეულებანი ქაღალდზე იქმნა დაწერილი და ამნაირათ ჩვეულება გადაიქცა კანონათ. შემდეგში ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაბატონებული კლასები დამონებულ ხალხს თავს ახვევდენ და ძალათ ასრულებინებდენ იმ კანონებს, რომლებიც მათთვის, გაბატონებულ კლასებისთვის იყო სასარგებლო. „ჩვეულებანი არ ყოფილან წყარო ძველ და თანამედროვე კანონთა“, გვარწმუნებს ბ. „Baton“-ი. ნამდვილათ კი ჩვენ ვხედავთ, რომ კანონი სწორეთ ჩვეულებების ნიადაგზე აღმოცენებულა, ჩვეულებები შეუმჩნეველ კანონათ გამხდარან.

საზოგადოთ ჩვენი „მეცნიერი“ ანარხისტები, როგორც წინათაც დავინახეთ, დიდი მოტრფიალენი არიან წარსულისა, ამ ნეტარ წარსულისა, როცა ხალხი თავისუ-

*) იხ. „ლამპარი“ № 45.

[illegible]

## მუშათა მოძრაობა

**ტყიბულის მეშახტის ციხის ხელმძღვანელები** [illegible]

[illegible]

**მიჩქმითა პროფესიონალური კავშირი.** [illegible]

[illegible]

(შემდეგი იქნება)

[illegible]

**თფილისის მოსამსახურეთა კრება.** [illegible]

**ქ. დუშეთი.** [illegible]

**ქ. ქუთაისის აფთიაქის მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.** [illegible]

**ნავთის ხელოსნის მუშათა მოთხოვნები.** [illegible]

**გორის ცამალოვის საპარიკმახერო.** [illegible]

**თბილისის თამბაქოს ქარხნების მუშათა რეზოლუცია.** [illegible]

### პროტესტები ანარქისტების წინააღმდეგ

[illegible]

ჩვენ სოციალ-დემოკრატიისა. ჩვენ გრწმუნდებით, რომ ანარქისტები ნამდვილი რევოლიუციონერებია. [illegible]

ჩვენ ქუთაისის ქარგლები პროფესიით [illegible] 21 კაცი [illegible]

(ხელს აწერს 21 მუშა).

[illegible]

## მოიკითხე.

[illegible]

## პატარა ფელეტონი

ფიქრი საიმისოდ.

[illegible]

ვილაც ლიბერალ-პროფესორებს ნიშნავთ! (გუშინ ერთი „პრისტავი“ ჩამოვიდა აქა და იმან ჩამოგვიტანა ეს ამბავი). ვაი სირცხვილო! ეს რომ გავიგეთ, ყველანი ჯოჯოხეთში მყოფნი, პირქვე დავემხეთ და თავ-პირში წავიშინეთ! მთელი დღე ცრემლი არ გაშრალა ჩვენს თვალზე... „კრამოლნიკების“ უბნიდან კი (წარმოიდგინე, ჩვენი გადმოსახლებულები აქ სამოხეში არიან!) სიხარულის ყიჟინა და „მარსელიეზა“-ს სიმღერა გადმოდიოდა. (აქაც არ ისვენებენ, ეგ სათოკეები!). კისერი კი მოსტეხეს ვიტტეს „დუმის“ მოწვევისათვის! აი, ეგ გაიძვერა, ეგა! ჩამოეთრეს აქა ვაჩვენებთ სეირს! ნეტა შენ რაღამ გაგაქალაჩუნა?! ნუ თუ „პატრონები“ სულ გამოგელია?! თქვე უბეჩებო, მაშ საზღვარ-გარეთიდან რისთვის გამოიწერეთ ავტომობილ-„პულემიოტები“?! წნილათ ჩასადებათ?! ან დასაელეტი მასალა („გრომოოტვოდები“) აღარა გაქვთ?! დავიჯერო, სომხები, ურიები, ინტელიგენტები და სხვა „კრამოლნიკები“ სულ გააწყვეთ?! რა ვიცი, აქ კი ტყაპა-ტყუპით ჩამოდიან და! იმ დღესაც მოვიდა თქვენი გამოგზავნილი პარტია—ურიები ბელოსტოკიდან—ასამდინ: ქალი, კაცი, ბავშვი, მოხუცი... დაგვინახეს თუ არა, კინაღამ ყანყრატოში გვწვდნენ!... (აქა ყრილობენ ჩვენ ჯავრს!) ამათ დაჟეჟილ-დალურსმულ სახეს რომ ვუცქეროდით, გული სიამაყით გვევსებოდა. ძაან, ძაან დახელოვნებულან ჩვენი ხულიგანები! ჩვენს მაგივრათ დიდი მადლობა გადაეცი მაგათ უსტაბაშებს: სუვორინ-გრინგმუტ-კრუშევანს. მაგისთანა ბიჭებით მთელ ქვეყანას გადავაბრუნებდი, არა თუ „დუმას“ გავრეკავდი! ვინძლო ეცადოთ და ის 17 ოქტომბრის ნაირ „შტუკას“ რომ აპირებთ („კამარილას“ მზადებაც გავიგეთ) კარგათ ჩაატაროთ! თუ „ინოროდცები“ დაგაკლდეთ, ახლა მალოროსებს ველიკოროსები მიუსიეთ, სალდათების ღალატისა ნუ გეშინიანთ: ადუღებული წყალი და საპონი ხომ მიეცით, ახლა პირსახოცები დაურიგეთ და დაჩუმდებიან. რაც შეეხება ფულებს, ისევ ჯიბგირ ვიტტეს მიმართეთ. აქ კი, ჩემო ძმაო, კაპიკიც არავისა გვაქვს! მართალია, ბევრი ვიზურგულეთ მანდა, მაგრამ თან კი არა გამოგვყვა რა! იმდენი ივლოცხლე, რამდენიც ჩვენ ვინატრით ხოლმე წარსულ ბედნიერებას! რომ მოგვაგონდება ხოლმე, როგორ ვაცარიელებდით თაფლის გუდას, კბილების კაწ-კაწი და თვალზე ცრემლი მოგვდის ხოლმე! სხვა, თქვენ როგორ ხართ? ჩვენი მაესტრი, პობედონოსცევი, არ აპირებს აქა? მათუსალაა, სწორეთ მათუსალა, რამდენი შეგირდი ამოგვიჭამა! უთხარი, შენთვის საუკეთესო ადგილი დაუმზადებიათ საკირეში-თქო. ამბობენ (ახლათ ჩამოსული ბიუროკრატები): ალიხან-ავარსკი და დუბასოვიც მოდიოდნენო, მაგრამ გზიდან გაბრუნდნენო, მაინც ისევ მალე აპირებენო! ნეტა არ იქნება,—„სკუჩნათ“, აღარ ვიქნებით. მოიკითხე ყველა ჩვენი ამხანაგები. პეტრე დურნოვოს უთხარი: თუ ჩამოსვლას აპირებ, ქერი თან წამოიღე, თორემ აქ არავინ დაგიყრის-თქო!

მოგიკითხეს და გაკოცეს შენმა ამხანაგებმა: ლუჟენოვსკიმ, სახაროვმა, ბოგოლეპოვმა და ყველამ სხვებმა.

გაკოცებს შენი ერთგული და განუყრელი მეგობარი ვიაჩესლავ-პლევე.

P. S. თუ მოდიოდეთ, წინ-და-წინ შეგვატყობინეთ, რომ ჯოჯოხეთის სადგურზე დაგხვდეთ“.

ნ. აზიანი.

# რუსეთი

**მუშათა დეპუტატების საბჭოს საქმის გარჩევა** გუშინ, 20 ივნისს, დაიწყებოდა. ჟანდარმებზე გარეშე პირებს არ დაუშვებენ. უწინ აპირებდენ თითო „დამნაშავესთვის“ 3 ბილეთის დარიგებას ნათესავებისათვის (რომ ეს უკანასკნელნი საქმის გარჩევას დასწრებოდენ); ეხლა კი გადაუწყვეტიათ თითოს თითო ბილეთი დაურიგონ. საქმის გარჩევა 12—14 დღე გაგრძელდება.

**აგრარული მოძრაობა.** კოზლოვის მაზრაში გაფიცვა არ შეწყვეტილა; ზოგიერთ ალაგას დააკმაყოფილეს გლეხთა მოთხოვნილებები. ბევრ ადგილას ბალახი მოუთიბავია. ზოგიერთ სოფლებში კაზაკები და ჯარის-კაცებია. 20 მემამულემ სთხოვა დუმას ქალაქში და მაზრაში სამხედრო წესების შემოღება, მარა დუმამ ამაზე ერთხმათ უარი სთქვა.

ატკარსკში აგრარული მოძრაობა ახალ ფორმებს იღებს; თავის ნებით ბალახია თიბვის და ტყის ჭრის გარდა გლეხებმა ხვნა-ლებვის ბალის გაფუჭება დაიწყეს. ამას წინათ 4 უშველებელი ბალი გააფუჭეს. აიკლეს კორიენკოს მამული და გარეკეს 30 პირუტყვი.

კურსკის გარემო გლეხთა მოძრაობა იზრდება, ერთ სოფელში გლეხებმა გადაზიდეს თავის სახლებში მემამულეს თივა. მეორეში—მოთიბეს მხოლოდ თავისი ნაწილი, როდესაც პირობის ძალით მემამულეს თივაც უნდა მოეთიბათ. მემამულე დაემუქრა —კაზაკებს მოვიწვევო, გლეხებმა მუქარითვე უპასუხეს—პურს ძირში გადაგიწვავთო. გახშირდა წვა. მემამულეები ყველგან კაზაკებს ითხოვენ.

ჟიტომირის მახლობლათ აგრარული მოძრაობაა. გაიგზავნა დრაგუნები.

სუჯადან იტყობინებიან: სოფ. გორნალიხის გლეხებსა და ბელგოროდკის მონასტრის ბერებს შორის შეტაკება მოხდა; შეტაკების მიზეზი ის იყო, რომ ბერებმა გლეხების საქონელი გარეკეს საბალახოდან. გალახულია რამოდენიმე გლეხიც და ბერიც.

ცარევში (ცარიცინის მახლობლათ) ბაზრობის დროს მოხდა შეტაკება კაზაკებსა და გლეხებს შორის. გლეხები და გლეხის ქალები ცულებით და კეტებით გამოუდგენ კაზაკებს და დასჭრეს კიდეც ზოგიერთი მათგანი.

ხარკოვის მაზრის სოფლის ყრილობებმა მოითხოვეს თავის სოფლიდან გასული სტრაჟნიკებისაგან—სახლში დაბრუნდით, თორემ საზოგადოებიდან გამოგრიცხავთო.

ჩერნიგოვის გუბერნიის ერთ მაზრაში „ისპრავნიკმა“ მოსთხოვა გლეხებს—აგიტატორები გაეცით. გლეხებმა უარი განაცხადეს. ისპრავნიკის განკარგულებით იქ მყოფმა კაზაკებმა ესროლეს გლეხებს; ორი მოკლეს და რამოდენიმე დასჭრეს. ორიოლის გუბერნიაში გლეხები სჭრიან მემამულეების ტყეს. ტულის გუბერნიის ეპიფანეს მაზრაში ძლიერი აგრარული მოძრაობაა, გაიგზავნა ორი როტა ჯარის-კაცები.

გრ. ვორონცოვ-დაშკოვის მამულში გლეხები თავის ნებით სჭრიან ტყეს და თიბავენ ბალახს. ეკატერინოსლავის ახლოს სოფ. ნოვო-ეკრაინში მომხდარ შეტაკების გამო დაატუსაღეს 5 გლეხი. სამარის გუბერნიაში ძლიერი აგრარული მოძრაობაა. გამოიწვიეს ჯარის-კაცები. ატკარსკში გლეხებმა ორი მემამულეს მამული აიკლეს. ძლიერი მღელვარებაა აგრეთვე სარატოვის გუბერნიის გლეხთა შორის. გახშირდა მამულების გადაწვა. გლეხები უარს ამბობენ მემამულეების მიწაზე მუშაობაზე, თიბავენ მემამულეების ბალახს და სხვ.

**პოგრომის მოლოდინში.** მარიუპოლის მცხოვრებნი დიდ შიშს განიცდიან პოგრომის მოლოდინში. მუშები, რომლებიც ოქტომბრის პოგრომში იღებდენ მონაწილეობას, ეხლა ასობით აწერენ ხელს პროტესტს და აცხადებენ—საჭიროებისათანავე მზათა ვართ დამცველი რაზმი შევადგინოთო.

ელიან პოგრომს აგრეთვე ფეოდოსიაში; შავრაზმელები ენერგიულ აგიტაციას ეწევიან.

ოდესაში მოხდა ერთი შემთხვევა, რომლის პროვოკაციული ხასიათი აშკარაა: მეკვასემ გაისროლა რევოლვერი ჰაერში; იქვე მყოფ ჯარის-კაცებმა მორთეს ყვირილი: „ჟიდები“ გვკლავენ!“-ო და გაიქცენ. კვასნიკი დაიჭირეს, მას ბუდკაში ჯარის-კაცის ვინტოვკა, პატრონები და სხვა იარაღი უნახეს. ამ შემთხვევამ დიდი შიში გამოიწვია.

გრაევოში დაუჭერიათ მგზავრი მღვდლის ტანისამოსში, რომელსაც უნახეს 4 პეტარდა და აფეთქებელი მოწყობილობა, რომელნიც ებრაელების დასარბევათ იწვევენ.

**ამბოხება ჯარში.** სამხედრო მინისტრს დაწვრილებითი მოხსენება მიუღია ელიდიპოლსტოკის ამბების შესახებ. ჯარს ეკონომიურ მოთხოვნებს გარდა, პოლიტიკურიც წამოუყენებია. ჯარის-კაცებსა და მატროსებს შორის სრული თანხმობაა; ისინი ერთად მოქმედებენ მთავრობის წინააღმდეგ.

კრასნოე სელოში მყოფ ჯარების უფროსები მოითხოვენ დაჟინებით ჯარი პეტერბურგის ყაზარმებში დავაბრუნოთო, იქ უფრო ადვილია ჯარის კაცების „ბოროტ-გამძრახველთა“ აგიტაციისაგან დაცვაო; აქ კი ისინი მიტინგებს მართავენ და პოლიტიკურ კითხვებს სჯიანო.

სამხედრო სამინისტრო-ს ატყობინებენ სხვადასხვა სტანიცებიდან (კაზაკების სოფლებია), რომ კაზაკები უარს ამბობენ პოლიციურ სამსახურის გაწევაზე.

10 ივნისს კავკავთან ახლათ მყოფ მე-18 სამთო ბატარეიაში მღელვარება დაიწყო. 13 ივნისამდე მღელვარება თანდათან მატულობდა; 13-ს საღამოს, ჯარის კაცებმა სამჯერ გაისროლეს ზარბაზანი და დაუშინეს რევოლვერები იმ ბატარეებს, რომელნიც მათ მხარს არ უჭერდენ. დაშავდა რამოდენიმე ჯარის კაცი, 1 მძიმეთაა დაჭრილი. შემდეგ ჯარის კაცებმა აიკლეს აფიცრების კლუბი; 14-ს, ღამით გაიგზავნა ქალაქიდან ქვეითი ჯარი პულემიოტებით. ერთ ბატარეიას იარაღი აჰყარეს.

13 ივლისს კრონშტატის კომენდანტმა ბელიაევმა დეპეშა გაუგზავნა სამხედრო მინისტრს, რომელშიაც ატყობინებს მას—ჯარის და ფლოტის მდგომარეობა ძლიერ საშიშია, ვეჭვობ რომ საჭირო დროს ისინი მთავრობას დანებდენო, რადგან ეხლა კრებებს მართავენ და პოლიტიკაზე ლაპარაკობენო. ამისათვის კომენდანტი კრონშტატში საიმედო ჯარის გაძლიერებას მოითხოვს.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ალაგი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგს: აგერ რამოდენიმე კვირაა, რაც ბ. ნესტორ მაცაბერიძე დადის ქუჩა ქუჩა და ისეთ რამეს ავრცელებს ჩემზე რაც ყოველ სიმართლეს მოკლებული და განზრახ შეთხზულია. ამით არ კმაყოფილდება ბ. ნესტორ მაცაბერიძე და მუქარასაც კი მითვლის. საქმის ვითარების დაწვრილებით აწერა გაზეთის ფურცელზე უხერხულათ მიმაჩნია და რადგანაც სიმართლის აღდგენა მწყურია, ამიტომ ვითხოვ ბ. ნ. მაცაბერიძეს საამხანაგო სასამართლოში, სადაც ყველაფერი სავსებით გამოირკვევა.

ბარნაბ მეძმარიაშვილი.

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ გაზეთ „ელვის“ მე-10 № მოთავსებული წერილი დ. ცხინვალიდან მოკლებულია სიმართლეს. რაც შეეხება პირადათ მე, მე მუდამ მომხრე ვიყავ და ვარ განმათავისუფლებელ მოძრაობისა, არც რამე დამიზოგავს და არც კვლავ დავზოგავ გავუწიო, რაც კი შემეძლება, დახმარება ამ მოძრაობას. მე მინდა გავაფრთხილო ბ. კორესპონდენტი, რომ ვიდრე მაგ გვარ ცილისწამებას დასწერდეს, საჭიროა კარგათ დაუფიქრდეს ხოლმე, რადგან ამგვარი წერილებით მან შეიძლება უბედურება გადაკიდოს იმ პირთ, ვიზედაც იგი ამ გვარ სიცრუესა სწერს.

სვიმონ ილიას ძე მაჩაბელი.

ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მომწერი მუშები, რომელნიც ვმუშაობთ კ. ელენტთან დატვირთვა გადმოტვირთვის საქმეზე ჭიათურაში, ვალად ვრაცხთ განვაცხადოთ, რომ ცნობა ჩვენს აუტანელ მდგომარეობაზე სიმართლეს მოკლებულია. ჩვენ არას დროს მაგდენი ტვირთი, როგორც ეს „ლამპრის“ მე 22 ნომერშია მოთავსებული არ გადაგვიტვირთავს დღიურათ და ამასთან თვით ელენტისაგან წინადადება გვაქვს საჭიროების მიხედვით დღიურებიც შევიმატოთ; ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ კორესპონდენტს რედაქცია შეცდომაში შეუყვანია.

ხელს აწერს 8 მუშა.

18 ივნისის გაზეთ „ლამპრის“ ახალ ამბავში იყო მოხსენებული, ვითომც ხარფუხის მღვდელს, ბენიამინ კონტრიძეს, თავის სკოლის მსახურ ისაკ ლაცაბიძისთვის ჯერ 18 მანეთი ეძლიოს, მერე 10 მ. გადაეხადოს და მერე კი სრულიადაც დაეთხოვნოს, ამიტომ გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი: ამ საქმეში მღვდელი არაფერში არ ტყუის, არც მისი მთავარი, არც მასწავლებელი ქალი; როგორც დამტკიცდა ჩვენ მედიატორულ სამართლის გამოკვლევის დროს, წასულ მაისის გასულში ლაცაბიძე დაითხოვეს, სხვათა შორის როგორც ხასიათით ავრინებული და შეუგუებელი, დამატებით კიდე ზნეობრივათ გარყვნილი სიტყვების მეტყველი. მედიატორეთ ვიყავით ორი სოც. დემ. და ორი მთავარი. მღვდლის გასამტყუნებელი საბუთი ვერა ვიპოვეთ რა.

მთავარი ნიკოლოზ ოქრომჭედლოვი, დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე, ნიკოლაი მხეიძე, ათანასე ქვათაძე.

P. S. მღვდელი კონტრიძე დაპირდა ლაცაბიძეს ენკენისთვეში ისევ მიღებას, თუ ზნესა და ხასიათს გამოიცვლიდა, მანამდე კი მღვდელი აძლევს მას ოთახის ქირათ თვეში 3 მანეთს.

მთავარი ნიკოლოზ ოქრომჭედლოვი.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

19 ივნისი.

**პეტერბურგი.** ოფიციალურათ. „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია მთავრობის შემდეგი განცხადება: „უმაღლესი ბრძანების თანახმათ, რომ დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, მთავრობამ შეიტანა სახელმწიფო სათათბიროში თავის მოსაზრებანი გლეხების მიწის-მფლობელობის გაუმჯობესების საშუალების და სანადელო მიწების სარგებლობის შესახებ. ეს საშუალებები შემდეგია: 1) გადაეცეს გლეხებს სარგებლიან პირობებში ყველა გამოსადეგი სახელმწიფო მიწები; 2) უკეთუ სახელმწიფო მიწები ვერ დააკმაყოფილებს უმიწო გლეხებს, იმ შემთხვევაში სახელმწიფომ შეისყიდოს კერძო პირთაგან მამულები; 3) ამ გვარათ სახელმწიფოს მიერ შეძენილი მიწები მიეყიდოს გლეხებს ხელმისაწვდომ ფასებში; 4) დადგენილ იქნეს, რომ ის მიწები, რომლებიც უმიწო გლეხებს გადაეცემა სანადელო მიწებთან ერთად, გლეხებს უფლება არ ქონდეთ სხვა წოდების პირთ მიჰყიდონ და არც კერძო პირთ შეუძლიათ ვალებში გაუყიდონ, ან დაირჩინონ ეს მიწები; 5) მეტი დახმარება აღმოუჩინონ გადასახლებულ გლეხებს პირველათ ოჯახის მოსაწყობათ; 6) შეიმუშაონ უფრო ადვილი წესი გლეხების იმ მიწების გაყიდვის შესახებ, რომლებიც მიწის მუშაობაზე ხელს იღებენ და ან გადასახლდებიან სხვაგან; 7) იმ საზოგადოებებში, სადაც მიწების გადაცვლა-გადმოცვლა 23 წლის განმავლობაში არ მომხდარა, ის მიწები, რომლებიც ერთი ოჯახის სარგებლობის ქვეშ იქნება, მის საკუთრებათ უნდა ჩაითვალოს; 8) მიეცეს გლეხებს სრული უფლება გამოეწეროს საზოგადოებიდან და საზოგადოებას სრული უფლება მიეცეს დაირჩინოს მისი მიწები, რისთვისაც მას ღირებული ფასი მისცეს; 9) მიეცეს თემებს უფლება თავის სრულ განკარგულებაში იქონიონ მიწები, მხოლოდ მთავრობამაც თვალ-ყური უნდა ადევნოს, რომ გლეხებმა კანონს არ გადაუხვიონ. გარდა ამისა მთავრობა ცდილობს ხელი შეუწყოს და დახმარება გაუწიოს გლეხების გადასახლებას ციმბირსა და შუა აზიის ადგილებში, სადაც სახელმწიფოს აუარებელი ცარიელი მიწები აქვს; 10) შესდგეს კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ გლეხებისგან არჩეული პირებიც. ამ კომისიებმა უნდა გამოიკვლიონ რომელი გლეხები უფრო გაჭირვებულნი არიან და სათავადო ბანკის საშუალებით დაეხმაროს მიწების ყიდვაში. რაც შეეხება სოფლის მცხოვრებთა შორის იმ აზრის გავრცელებას, რომ მიწა არავის საკუთრებას არ შეადგენს და იმას უნდა ქონდეს, ვისაც მისი დამუშავება შეუძლია და ამისთვის საჭიროა მემამულეებს ძალათ ჩამოერთვას მიწები და გლეხებს დაურიგდესო, მთავრობის აზრით დიდი უსამართლობაა. მთავრობა ამტკიცებს, რომ ის ბეჯითად ეცდება დაიცვას ყველას ქონებრივი უფლებები, გლეხები თვითონ უნდა ცდილობდენ დაიცვან მემამულეების უფლებები მათ მიწებზე, რადგან თუ კი დღეს მემამულეებს და სხვა წოდებებს შეეხენ, ხვალ თვით გლეხებსაც მიწვდებიანო. რუსეთის გლეხობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ძალადობით და უწესოებით კი არ შეუძლია მას თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ მშვიდობიან შრომით და ხელმწიფე იმპერატორის მუდმივ მასზე ზრუნვით.

**პეტერბურგი.** ხალხის თავისუფლების პარტიის პარლამენტის ფრაქციას სახ. სათათბიროში შეაქვს კანონპროექტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. ამ კანონპროექტში შემდეგი მოსაზრებაა მოყვანილი: უკეთუ ნამდვილი ბეჭდვის თავისუფლება არა აქვს ხალხს ისე ყოვლად შეუძლებელია მოქალაქეობრივი თავისუფლება და ხალხის სულიერი და მატერიალური ძალთა განვითარება; კანონ-პროექტით ბეჭდვითი სიტყვის შეზღუდვა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება უკეთუ ის მართლა საზოგადო მშვიდობიანობას განსაცდელს უქადის; აქ ლაპარაკია იმას შესახებ, რომ ბეჭდვითი სიტყვას არ შეეძლოს უსაბუთოთ შეეხოს მოქალაქეთა კერძო ოჯახურ ცხოვრებას, ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებები მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ექვემდებარება. პროექტი სცნობს წიგნების და გაზეთების გამოცემის უფლება საზოგადოთ, რისთვისაც საჭირო არ უნდა იყოს ეცნობოს რომელიმე ადმინისტრატიულ დაწესებულებას, ბეჭდვითი სიტყვის წესის დარღვევისთვის პასუხს აგებს კერძო პირები და არა გამომცემა. პროექტი უარყოფს გაზეთების და წიგნების კონფისკაციას.

**პეტერბურგი.** გაზეთების ცნობა, ვითომც სამხედრო მინისტრი აგზავნიდეს ვინმეს ბელოსტოკში, პოგრომის დროს ჯარის მოქმედების უფრო-ქვეის გამოსაკვლევათ, სიმართლეს მოკლებულია. ტყუილია აგრეთვე გაზეთების ის ცნობა, ვითომც ნაღმოსან „მეტკი“-ზე ვიერკაში, მატროსებს მიტაცოს და კურსკიევს მოეტაცოთ კასიდან 3000 მან. ოქროს ფული და შემდეგ ჩამჯდარიყვნენ ნავში და მიმალულიყვნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშავდება პროექტი დუმაში წარსადგენათ. ამ პროექტით საგუბერნიო საერობო დამზღვევი საზოგადოება არ უნდა იყოს პასუხის მგებელი იმ ზარალის, რომელიც გამოწვეული იქნება სახალხო მოძრაობის მიზეზით. სარატოვის საოლქო სასამართლოს წევრმა სენდლერმა დაამთავრა წინასწარი გამოძიება, ოქტომბრის პოგრომებისა. სენდლერი ბრალს დებს პოლიციას უმოქმედობაში და აგრეთვე ყოფილ ვიცე-გუბერნატორს მთავრობის უმოქმედობაში.—გზათა სამინისტრო თხოულობს გადაეცეს მას 720000 მან, სრეტენსკ-ხაბაროვსკის გზის გასაყვანათ. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ ჩვენს ელჩს პეკინში ჩინეთის მთავრობისათვის წარუდგენია შემდეგი ხუთი წინადადება: 1. რუსეთი თანახმაა დაუბრუნოს ჩინეთს ხელისუფლის ოქროს მადნები იმ პირობით, რუ რომ ამ მადნებს დაამუშავებს ორივე ქვეყანა ერთად; 2. რუსეთი თანახმაა გამოიყვანოს ჯარი ჩრდილოეთ მანჯურიიდან და იქ დასტოვებს იმდენს, რომ დაიცვას რკინის გზა; 3. რუსეთი თანახმაა გადასცეს ჩინეთს გირინის და ხლუნკაისის ტელეგრაფის სადგურები; 4. ჩინეთ-რუსეთთან ერთად აწყობენ ტყეების მოჭრის საქმეს, რათა ისარგებლონ ლდენაიკის და ალუს ტყეებით; 5. ჩინეთმა უნდა სცნოს პირველობა რუსეთისადმი რკინის გზის გაყვანაში და მადნების დამუშავებაში ჩრდილოეთ მანჯურიაში და მონგოლიაში. ეს ცნობა, რომელიც გადმოეღიათ გაზ. „ეჰო დე-შინ“-იდან სიმართლეს მოკლებულია. სახალხო განათლების სამინისტროს აზრათ აქვს შეიტანოს დუმაში პროექტი „დაწესდეს ზოგიერთ გუბერნიებში 14 ახალი საქალებო სამასწავლებლო ინსტიტუტები, ოთხ წლიანი კურსებით.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანებით ადესის მაზრაში და ხერსონის გუბერნიაში შემოღებულ იქმნა სამხედრო წესები. დღეს დაიწყეს მუშათა დეპუტატების საბჭოს საქმის გარჩევა. სასამართლოს შენობას იცავს გაძლიერებული რაზმები პოლიციის და ჟანდარმების. სასამართლოში შესვლა ძნელია. მოწმეებათ მოწვეულია 450 კაცი, რომელთაგან არ გამოცხადდა 100. მოწმეების უმრავლესობას შეადგენენ მუშები, რომლებიც რამოდენიმე თვე ისხდენ ციხეში. საქმის განხილვა გაგრძელდება საღამომდის. ბრალს სდებენ 52 კაცს, 20 ვექილია. შეიძლება საქმის გარჩევა გადიდეს, რადგან მოწმეები სრულად არ გამოცხადდენ, უკეთუ არ გადიდეს პროცესი მთელ თვეს გაგრძელდება.

**ეკატერინოსლავი.** სლავიანო-სერბიის საერობო მართველობამ განუცხადა ადმინისტრაციას, რომ საერობო კრება არ აირჩევს თავის წარმომადგენელს მიწების გამაწესრიგებელ კომისიაში. საბუთათ ის მოყავთ, რომ ამნაირი კომისია უნდა დანიშნოს დუმამ ან საბჭომ და არა ადმინისტრაციამ.

**ვარშავა.** სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა გლეხ კაზაროვსკის სტრაჟნიკის მოკვლისათვის. ვარშავის მაზრაში, ჩისტაში, მძიმეთ დასჭრეს საერობო დარაჯი ზემბიცკი. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ. პელდოსანის სახელოსნოში, პავლინის ქუჩაზე შევიდა ერთი ახალგაზდა ებრაელი და მოითხოვა მუშაობის შეჩერება. როდესაც უარი უთხრეს, მან ესროლა ერთ მუშას და დასჭრა, შემდეგ გაიქცა. იმავე ქუჩაზე მძიმეთ დასჭრეს უბნის ზედამხედველი, რამკე.

**ტულა.** ნოვოსილსკის მაზრაში სულიწმინდის მონასტრის მამულებში გლეხებმა დასწვეს შენობები.

**ფეოდოსია.** დილით უმთავრეს ქუჩაზე მოკლეს მდიდარი ვაჭარი სომეხი, არუთოვი. მკვლელი დაიჭირეს ისიც სომეხია. მკვლელობის მიზეზი ყოფილა მათ შორის ამტეხარი დავა ადგილობრივ სომხების საეკლესიო გამგეობის გამო.

**ატკარსკი.** ატკარსკის, ლოპუხოვის, შერემეტიევის, ლისოგორის და ვალანდინის სოფლების გლეხები დადიან მემამულეების მამულში სამუშაოდ და რეკენ იმ მუშებს, რომლებიც დაწესებულ ფასზე იაფათ მუშაობენ, იერიევნის მამულში, ლოპუხოვის მაზრაში, მოსალოდნელია დარბევა, ამიტომ გუბერნატორს გაუგზავნეს თხოვნა, მიაშველოს ჯარი.

**სააგენტოს შენიშვნა:** ცუდი ამინდების გამო ტელეგრაფი გაფუჭდა და ამიტომ სათათბიროს სხდომის დეპეშები დაგვიანდა.

## „ლამპარი“-ს ფოსტა.

**მუშა ქარ-ჩხაპელს.** ყველაფერში გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ამ უწმაწურ პირებთან ლანძღვა-გინებაში შეჯიბრება იმათ ლანძღვა-გინების მეტი საქმე არა აქვთ, და ჩვენ კი ათასი მოვალეობა გვაწევს მუშების წინაში.

**კალისტრატე ფირცხალაშვილ**[illegible]ნამ იმ 400 მუშის გვარები არ გვეცოდინებ[illegible] ვერ დავბეჭდავთ.

**სამტრედიის რკინის გზის მუშებს.** არ დაიბეჭდება, თუ ის 109 მუშა, რომელთაც მოუნდომიათ პროტესტის გამოგზავნა, ხელს არ მოაწერს პროტესტს.

**ლადო მოსეშვილს.** ანარქისტების „ორგანოებში“ მოთავსებულ ყოველ საზიზღრობაზეა რომ პასუხი მიეცეთ, მთელი გაზეთი არ გვეყოფა.

**ლადიკო სარიშვილს.** იხ. „შრ“ № 63 ჯერუყვეთში გამართული წარმოდგენიდან რედაქციამ მიიღო 14 მ. და 50 კ. ეს უკვე შეცდომით ასე იყო გამოცხადებული „ლამპრის“ მე 47 №-ში „15 მ. და 50 კ. გურულების სასარგებლოთ“ ფული გადაეცემა დანიშნულებისამებრ.

# მ ო წ ო დ ე ბ ა!

მოვიწოდებთ თფილისის ყველა ვაჭრებს დღეს, 22 ივნისს, მხარი დაუჭირონ საერთო გაფიცვას ერთი დღე დუქნების დაკეტვით და მით პროტესტი გამოაცხადონ 27 სალდათის დასჯის წინააღმდეგ.

თფილ. წვრილ ვაჭართა ბიურო.

რედაქტორ-გამომცემელი ქ. თავართქილაძე.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.